



ვატარინართა რაზიონელი ასოციაციის საინფორმაციო ცნობარი



აჭარაში ასოციაცია დაფუძნდა



2014 წლის თებერვალში, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის მოქმედების არეალი გაფართოვდა და ჰარტნიორი რეგიონების რიცხვს საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზღვრისპირა მხარე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეემატა.

ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ადგილობრივი განმახორციელებელია საქართველოს სა-

ზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა. მისი მხარდაჭერით, 2014 წლის 14 თებერვალს ოფიციალურად დარეგისტრირდა აჭარის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია, რომელიც 50-მდე ურძო პრაქტიკის მქონე ვეტერინარს აერთიანებს. ორგანიზაციამ აირჩია გამგეობა და თავმჯდომარე, დაამტკიცა წესდება და გახსნა საბანკო ანგარიში.

განათლების საჭიროების ყვლევის შემდეგ, განისაზღვრა სატრენინგო თემები და აპრილიდან წარმატებით დაიწყო ვეტერინართა გადამზადების ინტენსიური ურსები.

პროგრამის ფარგლებში, ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრები, ტექნიკური ტრენინგების მეშვეობით აიმაღლებენ პროფესიულ უვალთფიციას, მიიღებენ უონ-სულტაციებს ვეტერინარული მომსახურების ორგანიზებული მიწოდების შესახებ, აღიჭურვებიან სპეციალური უნიფორმებით, შეძლებენ ფერმერებთან სწორი და ეფექტური უომენიაციის დამყარებას.

ვატარინარიის საერთაშორისო დღე საქართველოშიც აღინიშნა

პირველად საქართველოში, 2014 წლის 26 აპრილს, ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრებმა, აღნიშნეს ვეტერინარიის საერთაშორისო დღე. ასოციაციის მართვის ცენტრის დახმარებით, სამცხე-ჯავახეთის, უახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტერინართა რეგიონულმა ასოციაციებმა, გამართეს მუხვედრები რეგიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში.



მუხვედრაზე ასოციაციის წევრებმა მოსახლეობასთან განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საუითხები, როგორებიცაა: ორგანიზებული ვეტერინარული მომსახურების მიწოდების მნიშვნელობა ცხოველთა ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უკოსისტემის მართვის, სურსათის უვნებლობისა და გარემოს დაცვის სფეროებში.

მუხვედრის მონაწილეებს გადაეცათ ასოციაციების საინფორმაციო ცნობარი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაავადება ცოფის პრევენციას. მუხვედრებზე დარიგდა ბროშურა, რომელშიც აღწერილი იყო დაავადება ცოფის გავრცელების გზები და პრევენციული ხასიათის რჩევები.

საქართველოში რაზიონელი ვატარინართა რაზიონელი ასოციაცია

სამარალო-ჯაო სვანეთი

მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი.
თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
ტელ.: 599 501 807

აჭარა

მის: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 29ა.
თავმჯდომარე - ნანა ბალანჩივაძე
ტელ.: 599 57 08 75

ქახეთი

მის: უაჭრეთის საზოგადოებრივი უოლუჯი "ასი" გურჯაანი
თავმჯდომარე - აკაკი ულანიძე
ტელ.: 593 609 638

შიდა ქართლი

მის: სოფელ ფხვენისის სოციო უკონომიკური ზონა, გორი
თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
ტელ.: 593 735694

სამცხე-ჯავახეთი

მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე
თავმჯდომარე - შოთა ყულუხანიშვილი
ტელ.: 551 972 900

მოფაღაზელი ასოციაციის შართვის ცნებრის შიარ

მის.: საქართველო, თბილისი, 0177, თამარაშვილის ქ. №13
ტელ. 2 91 06 07




ვატარინართა რაზიონელი ასოციაცია

იზრუნეთ თქვენი პირუტყვის და ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე. სამკურნალო-პროფილაქტიკური ვეტერინარული მომსახურება ცხოველთა ჯანმრთელობის და უვნებელი პროდუქტის წარმოების ხელშეწყობისთვის.


ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია რეგიონში მოღვაწე ფერმერული მეურნეობების მქონე პირებსა და ცხოველთა მეპატრონეებს გთავაზობთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებების სანი-ნაღმდეგო სამკურნალო-პროფილაქტიკურ მომსახურებას შემდეგი მიმართულებებით:

პროფილაქტიკური აცრები:

- იმენიზაცია დაავადება ვას-ტერულოზის წინააღმდეგ;
- იმენიზაცია დაავადება ემფიზემური კარბონიკულის (ემსარი) წინააღმდეგ;
- სოკოვანი დაავადება ტრიქოფიტიას (მკრეჭავი მუნი) პროფილაქტიკა;
- დაავადება ჰიპოდერმატიზის (სანის ბორა) პროფილაქტიკა;
- სისხლის პარაზიტებით გამოწვეული დაავადებების-პროფილაქტიკა, ბაბეზიოზი, ჰემოსპროდიოზი, ტრიანო-სომოზის პროფილაქტიკა.



აეთიჰაობა



თევზი და ზღვის პროდუქტები ადამიანისთვის ფასეული საკვები პროდუქტია. დიეტური და დაბალანსებული კვების რაციონში, ენერგეტიკული მახასიათებლებით ის პირველ ადგილზეა. იგი მდიდარია ცილებით, ვიტამინებითა და სიცოცხლისათვის საჭირო მინერალებით, შეიცავს ნაკლები რაოდენობის ცხიმებს.

წინა წლებთან შედარებით, ზღვის პროდუქტებით და კერძოდ, თევზის პროდუქტებით სარგებლობის კულტურა მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად განვითარდა, რაც მოხმარებული პროდუქტების რაოდენობის ზრდაში გამოიხატა.

ამჟამად მსოფლიოში თევზპროდუქტებით ვაჭრობა ერთ-ერთ მთავარი მიმართულებაა, თუმცა არასაკმარისი გამოცდილება და არასწორი მეურვეობა აფერხებს მეთევზეობის განვითარებას. 2012 წელს მოსახლეობის მიერ მოხმარებული თევზის რაოდენობა 158 მილიონ ტონას შეადგენდა. აღნიშნული ტენდენცია მზარდია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის 1 მარტის მონაცემებით, თევზჭერისა და მეთევზეობის სფეროში 91 აქტიური ბიზნეს ოპერატორია, ხოლო ქვეყნის მასშტაბით დარეგისტრირებულია 259 სუბიექტი.

აეუთჰაობა



ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად აქტუალური ხდება, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის საკითხი და მათი შესაბამისობა საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებთან.

ქართველი მეფუტკრეები დიდ იმედებს ამყარებენ ახალი ბაზრის გახსნაზე, თუმცა იმისათვის, რომ ქართულმა თაფლმა შეაღწიოს ევროკავშირის ქვეყნებში, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები:

ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალულია ვაროას ტყიპის საწინააღმდეგო ისეთი პრეპარატების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ქიმიურ შენაერთებს: ფლუაზინაქს, ფლუმეტრინს, ამიტრაზს, კუმოფოს და სხვა. საქართველოში კი ეს პრეპარატები ფართოდ გამოიყენება. ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ ორგანული მკვების გამოყენება: ძმარმყავა, ჭიანჭველა მყავა და სხვა, ასევე აქროლადი ნივთიერებები - თიმოლი, ეთერზეთები და ა.შ.

საქართველოში ფუტკრის ოჯახების სიღამძლის სამეურნეო ოქსიტეტრაცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებს იყენებენ, ხოლო ევროკავშირში ანტიბიოტიკის გამოყენება მკაცრად იკრძალება. დაავადებულ ოჯახებს ანადგურებენ.

ფუტკრის მოვლა-პატრონობისას გასათვალისწინებელია რამდენიმე რეკომენდაცია: ტყიპის საწინააღმდეგოდ ფუტკრის ოჯახების დამუშავებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული ვადები, კერძოდ, ბოლო მეურნეობა უნდა ჩატარდეს ტალის დაწყებამდე 4-6 კვირით ადრე ან მისი დამთავრების შემდეგ. საუჭუნაობის მოცილებისას, დამუშავდეს მხოლოდ ფუტკრის ბუდე და არა საუჭუნაო. საუჭუნაოდან გამონურული თაფლი არ უნდა შეერიოს ბუდიდან გამონურულ თაფლს.

კითხვები პეტრიწას

როგორ უპიძლოთ თაზიან ცურის დაზიანებაში?

ფერმერულ მეურნეობაში ხშირად ვაწყდებით სარძევე ჯირკვლის ანთებებს. სარძევე ჯირკვლის ანთება ანუ მასტიტი ჯირკვლის ქსოვილის დაზიანების შედეგად ორგანოში შეჭრილი მიკროორგანიზმების წინააღმდეგ ორგანიზმის რეაქციაა, რაც ძლიერ პათოლოგიაშიც შეიძლება გადაიზარდოს. ფერმერებს მოუწოდებთ, წველის დაწყებამდე უარგად ჩამორეცხონ სარძევე ჯირკვალი, დაიბანონ ხელები და მოიხსნან ბუჭდები. აღნიშნული პროცედურა ამცირებს პათოგენური მიკროორგანიზმების გადაცემის რისკებს, ხოლო ზოგადი ჰიგიენის ნორმების დაცვა ცხოველის სადგომში მასტიტების პროფილაქტიკის წინაპირობაა.

რადიანი ხანი ბრძანება უნდობილოთკაზის ზაოთქადა-ბა ცხოვრება პროდუქტაზა?

მილიონობით ადამიანის და ცხოველის სიცოცხლის გადარჩენა მსოფლიოში ანტიბიოტიკების გამოყენებას უკავშირდება. ისინი გამოირჩევიან ბაქტერიებზე ზემოქმედების უნარით. მიუხედავად სასარგებლო ჩვენებისა დაუშვებელია მათი თვითნებური გამოყენება. ანტიბიოტიკები მოქმედებენ თირკმლის ან ღვიძლის ფუნქციაზე. მათმა მიღებამ შესაძლოა ანაფილაქსიური შოკის განვითარება ან სისხლის ანემია გამოიწვიოს. პრეპარატების დანიშვნა მიზანშეწონილია, როცა დაავადება უკავშირდება პათოგენურ ბაქტერიას. სხვა შემთხვევაში ანტიბიოტიკის გამოყენება მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება ორგანიზმისთვის. ანტიბიოტიკული პრეპარატების რეზისტენტობას დღეს მთელ მსოფლიოში ებრძვიან. დაუშვებელია მეურნეობის პროცესში და გარკვეული პერიოდის შემდეგ ცხოველური პროდუქტების გამოყენება. ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში ანტიბიოტიკების გამოყენება მკაცრად უკრძალოდება. მეურნეობისას აუცილებელია პრეპარატის დოზირების და გამოყენების რეჟიმის დაცვა, ხოლო რძის და ხორცის გამოყენება გარკვეული პერიოდით იზღუდება. ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებამდე ფერმერი აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს ვეტერინარს.

სამეურნეო პროდუქტიური ტექნიკისთვის:

- დაავადება ფსაციოლოგიაში
- პროფილაქტიკა;
- დაავადება დიქტიოკალალოგიაში
- პროფილაქტიკა;
- დაავადება დიქტიოკალალოგიაში
- პროფილაქტიკა;
- დაავადება პარაფიციტოლოგიაში
- პროფილაქტიკა.

ცხოველის გაზანება ქტოპარაბ-ტიპის წინააღმდეგ:

- ცხოველების დაცვა ბუხებისგან;
- ცხოველების დაცვა ტიფებისგან;
- ცხოველების დაცვა ბაქტერიისგან;
- ცხოველების დაცვა რენტელოგიაში.

პროფილაქტიკური ტექნიკისთვის:

- ცხოველის სადგომის გაუწვებლად ჰაოგენური აღმძვრელისგან;
- ცხოველის მოვლის სანების გაუწვებლად ჰაოგენური აღმძვრელისგან;
- საკვები და სანყრებელი საგნების გაუწვებლად ჰაოგენური აღმძვრელისგან;
- სატრანსპორტო საშუალების გაუწვებლად ჰაოგენური აღმძვრელისგან;

საყოფიერებო მომსახურება:

- ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
- კონსულტაციები მოვლა-მეცნიერების პირების გაუწვებლად;

ისარგებლეთ კვალიფიციური ვეტერინარული მომსახურებით მთელი წლის განმავლობაში, მუდავალიან ფასად და მიიღეთ მუდმივი სარგებელი თქვენი მეურნეობიდან.



საოციაციების
მართვის ცენტრის
საყონტაქტო ნომერი:
2 91 06 07